მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი №10

ქ. მარტვილი 4 მაისი 2022 წელი

სხდომა დაიწყო 11:00 სთ-ზე დამთავრდა 12:00 სთ-ზე

სხდომას ესწრებოდნენ: ლევან სურმავა, ელდარი თოდუა, ალექსანდრე გრიგალავა, კობა დარჯანია, ზურაბ მელიავა, ელიზბარ ახვლედიანი, შალვა ბახია, ლაშა ქობალია, ნათია ბჟალავა, ირინა გადელია, ირაკლი დიხამინჯია, მინდია გაბისონია, ჯამბულ ხუროძე, გიორგი ჯიჯელავა, ვლადიმერ დანელია, ბექარ კუკანია, პაატა პირტახია, გოჩა ჯიქია, გიორგი ხორავა, შალვა თაფლაძე, ზაზა რუხაია, მაია გაწერელია, მიხეილ ნაჭყებია, ზაურ ჯახუა, მამუკა დანელია, კობა ასაბაშვილი, აკაკი ხუნწელია.

რეგისტარცია გაიარა საკრებულოს 27–მა წევრმა.

ასევე ესწრებოდნენ: ცოტნე კაკულია, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსის მ/შ/, საკრებულოს აპარატის თანამშრომლები და სხვა დაინტერესებული პირები.

დღის წესრიგთან დაკავშირებით რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 27-მა წევრმა.

მოისმინეს 1: საკრებულოს თავმჯდომარის ლევან სურმავას მოხსენება დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით და საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ დღის წესრიგთან დაკავშირებით..

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ ლევან სურმავამ დღის წესრიგის პროექტი წარმოდგენილი სახით დასვა კენჭისყრაზე,

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 27, წინააღმდეგი 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, 2022 წლის 4 მაისის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

/,,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 4 მაისის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 4 მაისის განკარგულება №42 სხდომის ოქმს თან ერთვის/.

დღის წესრიგი:

1. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 4 მაისის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ;
   /მომხსენებელი-ლევან სურმავა, საკრებულოს თავმჯდომარე/
2. 2022 წელს მარტვილის მუნიციპალიტეტში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების მოწონებისა და ინიცირების შესახებ.

/მომხსენებელი - ცოტნე კაკულია, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსის მ/შ/

მე-2 საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 27-მა წევრმა.

მოისმინეს 2: მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსის მ/შ-ის ცოტნე კაკულიას მოხსენება, 2022 წელს მარტვილის მუნიციპალიტეტში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების მოწონებისა და ინიცირების შესახებ.

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო 2022 წელს მარტვილის მუნიციპალიტეტში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტები. კერძოდ:

1. ნაგვაზაოს ადმინისტრაციულ ერთეულში, სილაგავების უბნისა და მარტვილის, ნახარებაოს დამაკავშირებელი საავტომობილო გზის ა/ბეტონის საფარით მოწყობა, პროექტის ღირებულებაა 724582 ლარი.
2. ტალერის ადმინისტრაციულ ერთეულში ჯიჯელავების უბანში, მარტვილი–ტალერი–ჩხორიწყესა და ტალერი–ლებარდეს დამაკავშირებელი საავტომობილო გზის ც/ბეტონის საფარით მოწყობა, პროექტის ღირებულებაა 262319 ლარი.
3. კიწიის ადმინისტრაციულ ერთეულში,ნოღის ციხემდე მისასვლელი საავტომობილო გზის მოწყობა, პროექტის ღირებულებაა829906 ლარი.
4. გაჭედილის ადმინისტრაციულ ერთეულის, ბალდის უბანში მამათა მონასტრიდან კაღუს ჩანჩქერამდე გზის ც/ბეტონის საფარით მოწყობა, პროექტის ღირებულებაა731487.
5. გაჭედილის ადმინისტრაციულ ერთეულის, პატარა თამაკონის უბნის და გიზო წულაიას ქუჩაზე საავტომობილო გზის ც/ბეტონის საფარით მოწყობა, პროექტის ღირებულებაა458814 ლარი.

საკრებულოს თავმჯდომარემ ლევან სურმავამ საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: მამუკა დანელიამ აღნიშნა, რომ მარტვილიას მუნიციპალიტეტის სოფელ ლეხაინდრავოში წლებია არანაირი პროექტი არ განხორციელებულა და იმ პირობებში როდესაც სოფელ ლეხაინდრავოს წლების წინ მომზადებული პროექტი, რომელიც უკვე გარკვეულ ცვლილებებს საჭიროებს უყურადღებოდაა. ხდება ახალი პროექტების მომზადება არადა აღნიშნულ პროექის მომზადებაზე თავის დროზე თანხაა დახარჯული. აღნიშნულთან დაკავშირებით საკრებულოს თავმჯდომარემ უპასუხა, რომ ის დაინტერესდებოდა აღნიშნული საკითხით და თავის კომპეტენციის ფარგლებში გაუწევდა დახმარებას.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 27, წინააღმდეგი 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს, ,,2022 წელს მარტვილის მუნიციპალიტეტში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების მოწონებისა და ინიცირების შესახებ“ საკითხი წარმოდგენილი სახით.

/,,2022 წელს მარტვილის მუნიციპალიტეტში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების მოწონებისა და ინიცირების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 4 მაისის განკარგულება №43 სხდომის ოქმს თან ერთვის.

ამის შემდეგ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და საკრებულოს თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე: ლევან სურმავა